# საქართველო

**საგარეო საქმეთა
სამინისტრო**

№ 1/521-14
„01" 04 2009

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო
მდივნის სამსახური

შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასასრულებლად, გიგზავნით 2009 წლის 25 მარტს ხელმოწერილი "საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის (მეორადი და ადგილობრივი გზების პროექტის დამატებითი დაფინანსება) სასესხო ხელშეკრულების" ინგლისურენოვანი ორიგინალისა და ქართულენოვანი ოფიციალურად დამოწმებული ტექსტების ასლებს, შესაბამისი უწყებების დასკვნებითურთ.

ამასთან გაცნობებთ, რომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების საქართველოს პარლამენტში წარდგენის შემთხვევაში, მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი.

დანართი: ფურცელი.

**დავით ჯალაღანია**
მინისტრის მოადგილე

პრეზიდენტის ადმინისტრაცია
№ 8/403
„1" 04 2009
38 ფურცელი

01/35
1.04.09

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE OF GEORGIA

№ 07-02/3352 „26" 03 2009

თქვენს № ______

*ფრიად სასწრაფო*

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო კალანდაძეს

ქალბატონო ნინო,

დეპონირებისათვის გიგზავნით საქართველოსა და მსოფლიო ბანკის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD) შორის 2009 წლის 25 მარტს ხელმოწერილ, საქართველოში მეორადი და ადგილობრივი გზების პროექტის დამატებითი დაფინანსების სასესხო ხელშეკრულების ორიგინალს ინგლისური ენაზე და მის არაოფიციალურ ქართულ თარგმანს.

გთხოვთ, შესაძლებლად უმოკლეს ვადაში უზრუნველყოთ აღნიშნული ხელშეკრულების ძალაში შესვლისათვის საჭირო პროცედურების განხორციელება.

ამასთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი ხელშეკრულება შეესაბამება საქართველოს ეკონომიკურ ინტერესებს და სავარაუდოა, რომ აღნიშნული საფინანსო-ეკონომიკური თვალსაზრისით დადებით შედეგს მოიტანს.

დანართი:

1. საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 11 მარტის №184 განკარგულების ასლი;
2. საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 11 მარტის №109 ბრძანებულების ასლი;
3. საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD) შორის გასაფორმებელი მეორადი და ადგილობრივი გზების პროექტის დამატებითი დაფინანსების სასესხო ხელშეკრულება (ხელმოწერილი ორიგინალი ინგლისურ ენაზე) და მისი არაოფიციალური ქართული თარგმანი.
4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 25.02.2009 წლის №01/23/13-3329 წერილის ასლი (1 ფურცელი);
5. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 27.02.2009 წლის №26/479/3-9 წერილის ასლი (1 ფურცელი);
6. საქართველოს ეროვნული ბანკის 24.02.2009 წლის №2-03/409 წერილის ასლი(1 ფურცელი);
7. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 26.02.2009 წლის №98 წერილის ასლი (1 ფურცელი)

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო № 4091/2-01 26 03 2009 1 ფ.

ქ. თბილისი 0114, გ. გორგასლის ქ. №16, ტელ.: 446412, ფაქსი: 457442, ელ-ფოსტა: info@mof.ge
16 Gorgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 446412, Fax: 457442. E-mail: info@mof.ge

8. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 24.02.2009 წლის №01-11/750 წერილის ასლი (1 ფურცელი);
9. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 25.02.2009 წლის №8/2659-14 წერილის ასლი (2 ფურცელი);
10. შეთანხმების ფურცელი (2 ფურცელი).

პატივისცემით,

დიმიტრი გვინდაძე
მინისტრის მოადგილე

02.03.2009

# საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
# MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

№ 01/23/13-3329 25 02 2009წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს

ბატონ დიმიტრი გვინდაძეს

ბატონო დიმიტრი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი ა/წლის 20 თებერვლის №07-02/1635 წერილით წარმოდგენილი საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD) შორის „საქართველოში მეორადი და ადგილობრივი გზების პროექტის დამატებითი დაფინანსების სასესხო ხელშეკრულების" პროექტი და გაცნობებთ, რომ ამ უკანასკნელის მიმართ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია.

პატივისცემით,

თინა ბურჯალიანი

მინისტრის პირველი მოადგილე

04.03.09

№479
02.03.09.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
№ 4104
02 03 2009
შესრულების ვადა ______

საქართველო, ქ. თბილისი, 0146, რუსთაველის გამზირი №30. ტელ.: 75-82-34, 75-83-85, ფაქსი: 75-82-34, ელ.ფოსტა: Intprivlawdep@justice.gov.ge
30 Rustaveli ave., 0146, Tbilisi, Georgia, Tel.: 75-82-34, 75-83-85, Fax: 75-82-34, E-MAIL: Intprivlawdep@justice.gov.ge

საქართველოს
ეკონომიკური განვითარების
სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMIC
DEVELOPMENT
OF GEORGIA

№ 26/479/3-9

24. 02 2009წ.

27-02-2009

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ დიმიტრი გვინდაძეს

ბატონო დიმიტრი,

ეკონიკური განვითარების სამინისტრომ განიხილა თქვენი მ.წ. 20 თებერვლის №07-02/1635 წერილით წარმოდგენილი მეორადი და ადგილობრივი გზების პროექტის დამატებითი დაფინანსების სასესხო ხელშეკრულების პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გააჩნია.

პატივისცემით,

სულხან სისაური

მინისტრის მოადგილე

N472.
2.03.09.

0108 თბილისი, ჭანტურიას ქ. №12
12, G. Chanturia str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 93 67 66
Fax.: (+995 32) 92 15 34, 99 69 96, 93 16 33

საქართველოს ეროვნული ბანკი

0105, თბილისი, ლეონიძის 3/5
ტელ.: 44 24 03, 44 21 20, ფაქსი: 44 25 77
ტელექსი: 212952 LEGAL.GI
ელ. ფოსტა: info@nbg.gov.ge
kodi: 20410484

საქართველოს ფინანსთა
მინისტრის მოადგილეს

ბატონ დ. გვინდაძეს

24.02.2009 № 2-03/409
თქვენი წლის 20 თებერვლის N07 02/1635 წერილზე

ბატონო დიმიტრი,

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განიხილა საქართველოსა და საერთაშორისო რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (IBRD) შორის მეორადი და ადგილობრივი გზების პროექტის დამატებითი დაფინანსების სასესხო ხელშეკრულების პროექტის შეთანხმებული ვარიანტი.

გაცნობებთ, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს, თავის კომპეტენციის ფარგლებში, აღნიშნული ხელშეკრულების პროექტის მიმართ შენიშვნები არა აქვს.

პატივისცემით,

დ. ამაღლობელი

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის
მოვალეობის შემსრულებელი

24.02.2009

25.02.09

24.02.09

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო**

**MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA**

№ 98

26 02 2009 წ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს ბატონ დიმიტრი გვინდაძეს

26.02.2009

ბატონო დიმიტრი,

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 20 თებერვლის №07-20/1635 წერილით გამოგზავნილი სასესხო ხელშეკრულების პროექტი (მეორადი და ადგილობრივი გზების პროექტის დამატებითი დაფინანსება) საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის, ჩვენი სამინისტროს კომპეტენციაში შემავალ საკითხებს ძირითადში ვეთანხმებით და შენიშვნები არ გაგვაჩნია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების განრიგი – 1-ის ნაწილი "ბ" საგზაო სექტორის ინსტიტუტების შესაძლებლობის გაზრდის ღონისძიებებში განიხილება მხოლოდ საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მაშინ როცა ამ სექტორის ერთ-ერთ მთავარ სტრუქტურას სამინისტრო წარმოადგენს, ამასთან იგი ახლადშექმნილი ინსტიტუტია და საჭიროებს შესაძლებლობების გაზრდაში მხარდაჭერას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კარგი იქნება თუ განრიგი - 1-ის "ბ" ნაწილი პუნქტის 1 ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

I. "რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, მისი საქვეუწყებო დაწესებულების – საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და მისი ექვსი რეგიონალური სამსახურის შესაძლებლობების გაზრდა... (შემდეგ როგორც ტექსტშია)

იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი პროექტები არის საერთაშორისო ხელშეკრულების ობიექტები და ხელშეკრულებები სამართლებრივად უფრო მაღლა დგას ვიდრე ნორმატიული აქტები, აუცილებლად ვთვლით მომავალში ასეთ ხელშეკრულებებში შესაძლებლობის ფარგლებში განისაზღვროს სამინისტროს ფუნქციებიც.

პატივისცემით

№458.
26.02.09.

მინისტრის პირველი მოადგილე — ჟამბულ ბაკურაძე

ინგოროყვას ქ. 7. თბილისი, 0134; ტელ.: (+995 32) 99 74 75; ფაქსი: (+995 32) 99 00 70

7, Ingorokva str. 0134, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 99 74 75; Fax: (+995 32) 99 00 70

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

**საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

№ ..... "....." ............ 2009 წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს

ბატონ დ.გვინდაძეს

ბატონო დიმიტრი,

2009 წლის 18 თებერვალს გამართულ მოლაპარაკებებზე საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (**IBRD**) შორის, რომელიც ეხებოდა საქართველოში მეორადი და ადგილობრივი გზების პროექტის დამატებითი დაფინანსების სასესხო ხელშეკრულების პროექტის საბოლოო ტექსტის მიღებას, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტიც მონაწილეობდა, შესაბამისად დეპარტამენტის შენიშვნები და მოსაზრებები (რაზედაც შეთანხმება შედგა) წარმოდგენილ სასესხო ხელშეკრულებაში ასახულია.

აქედან გამომდინარე სხვა დამატებითი შენიშვნები დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით, არ გაგვაჩნია.

პატივისცემით
დეპარტამენტის თავმჯდომარე

რ.ნიკოლაიშვილი

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 376 286, ფაქსი: (+995 32) 376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

# საქართველო
# GEORGIA

საგარეო საქმეთა
სამინისტრო
MINISTRY OF
FOREIGN AFFAIRS
№ 2/2659-14
25.02.2009

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

გიგზავნით, „საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (მეორადი და ადგილობრივი გზების პროექტის დამატებითი დაფინანსება)“ პროექტზე საგარეო საქმეთა სამინისტროს დასკვნას.

დანართი: 1 გვერდი

**ირაკლი გივიაშვილი**
საერთაშორისო სამართლებრივი
დეპარტამენტის დირექტორი

N455
26.02.09.

N: 3852
26. 02 2009
ფურცლის რაოდენობა

# საქართველო
# GEORGIA

საგარეო საქმეთა
სამინისტრო
MINISTRY OF
FOREIGN AFFAIRS

№ 49/14
25. 02. 2009

**დასკვნა**
**„საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (მეორადი და ადგილობრივი გზების პროექტის დამატებითი დაფინანსება)" პროექტზე**

სამინისტრომ განიხილა „საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (მეორადი და ადგილობრივი გზების პროექტის დამატებითი დაფინანსება)" პროექტი და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიაჩნია, წარმოდგენილი ხელშეკრულების დადება.

ნინო კალანდაძე
მინისტრის მოადგილე

0118 Tbilisi, Shio Chitadze st. №4; Georgia. Tel: (995 32) 284648; Fax: (995 32) 284678 www. mfa.gov.ge